ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 508

„4" სექტემბერი 2014 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებიდან ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარ გადახდილი სახსრების დამოწმების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ფაქტობრივი ხარჯების გაწევამდე, სახსრების წინასწარ გადახდის (ავანსად) შემთხვევაში დამოწმების (წინასწარ გადახდილ სახსრებზე ფაქტობრივი ხარჯების დადასტურება) ერთიანი პრინციპის დაცვის მიზნით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი", ,,კ" და ,,ღ" ქვეპუნქტების, 166-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21[1] მუხლის პირველი პუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ტ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დადებული ხელშკრულებების შესაბამისად განხორციელებული წინასწარი გადახდების დამოწმება წარმოდგენილ შესრულებაზე შემდეგი სახით:

ა) სახელშეკრულებო ღირებულების 40%-ის ფარგლებში ავანსად გადახდის შემთხვევაში, საავანსო თანხის გამოქვითვა განხორციელდეს საავანსო თანხის პირდაპირპროპორციულად ყოველი შესრულების ანაზღაურებისას;

ბ) სახელშეკრულებო ღირებულების 40%-იდან 80%-ის ფარგლებში განსაზღვრული წინასწარი (ავანსად) გადახდის შემთხვევაში, ეტაპობრივი დამოწმება ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე პროცენტულად, ფორმულის შესაბამისად X=A*100/(B*80%), X არის წარმოდგენილი შესრულებიდან წინასწარი გადახდის დამოწმების პროცენტი, A - საავანსო თანხა, B - სახელშეკრულებო თანხა (წინასწარი გადახდების სრული დამოწმება ხდება სახელშეკრულებო ღირებულების 80%-მდე) შესრულებისას;

გ) ხელშეკრულების ღირებულების 80%-ის ზევით, განსაზღვრული წინასწარი (ავანსად) გადახდის შემთხვევაში, ყოველი წარმოდგენილი შესრულების სრული მოცულობის დამოწმება.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს გიორგი ხელაიას.

3. წინამდებარე ბრძანება ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე.

აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან, ერთ თვეში.

№1 დავით ნარმანია